ISSN 2667-9396

№ 23

საქნახშირი

მეგახლე

კომპანიის სიახლეები
ჩვენი თანამშრომლები
ღონისძიებები

ტყიბულის ამბები
იმერეთის სიახლეები
სპორტი

"საქნახშირს" ახალი დირექტორი ჰყავს

გვ. 2

გვ. 6

ბეჭან წაქაძე:
„ჩვენი პრიორიტეტები უცვლელია - მშვიდობა, ევროკავშირთან ინტეგრაცია და ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება“

გვ. 9

ტყიბულში წყალმომარაგების ქსელის მოწყობა და გამრიცხველიანება დაიწყო

გვ. 11

იმერული ღვინის პირველი ოფიციალური პრეზენტაცია ამერიკაში

თებერვალი-მარტი 2023

„საქნახშირს“ ახალი დირექტორი ჰყავს

2023 წლის მარტში, ოლეგ როზუმმა დირექტორის თანამდებობა დატოვა. კომპანიის მენეჯმენტის გადაწყვეტილებით, მისი ადგილი ალექსანდრ ლოვინმა დაიკავა.

ალექსანდრ ლოვინი 2001 – 2004 წლებში, დონბასის სამთო - ტექნოლოგიურ უნივერსიტეტში პედაგოგიურ საქმიანობას ეწეოდა.

2004-2017 წლებში მუშაობდა ნახშირმომპოვებელ საწარმოში „დონბასანტრაციტი“ (რომელიც 14 საწარმოს აერთიანებდა). 1 წლის განმავლობაში ამავე საწარმოს გენერალური დირექტორის მოვალეობას ასრულებდა. 2017 წელს მუშაობა დაიწყო „საქნახშირში.“ თავდაპირველად იყო სტრატეგიული განვითარების განყოფილების უფროსი, შემდეგ კი მთავარი ინჟინერი.

„საქნახშირის“ გუნდი წარმატებულ და ნაყოფიერ საქმიანობას უსურვებს ალექსანდრ ლოვინს. გვჯერა, რომ თავისი ცოდნითა და გამოცდილებით უდიდეს წვლილს შეიტანს საწარმოს განვითარებაში.

„საქნახშირის“ საკონსულტაციო საბჭო მუშაობის შედეგებს აჯამებს

„საქნახშირის“ დირექტორმა, ალექსანდრ ლოვინმა საკონსულტაციო საბჭოს მუშაობის შესახებ ანგარიში მოამზადა. საბჭო 46 დასაქმებულს აერთიანებს (მათ შორის პროფკავშირების წარმომადგენლებსაც). მისი შექმნის მიზანს, მართვის პროცესში დასაქმებულების ჩართვა წარმოადგენდა, რაც, ალექსანდრ ლოვინის განცხადებით, მიღწეულია.

საბჭოს სამუშაო შეხვედრები რეგულარულად, თვეში ორჯერ იმართება. არსებობს ძირითადი, პრიორიტეტული მიმართულებები, რომლებზეც საბჭო აქცენტირებულად მუშაობს. წარმოების პროცესთან დაკავშირებულ საკითხებს ბადრი არაბიძე (დირექტორის მოადგილე წარმოების დარგში) ხელმძღვანელობს, შრომის უსაფრთხოების მიმართულებას ავთანდილ ბოჭორიშვილი (დირექტორის მოადგილე შრომის უსაფრთხოების მიმართულებით), ხოლო საბიუჯეტო კომიტეტს ვარლამ გაბრიჭიძე.

გასული ორი წლის განმავლობაში საკონსულტაციო საბჭოს შეხვედრებზე მოხდა უბნის უფროსების მიერ მუშაობის ანგარიშების წარდგენა, საკუთარი უბნების მუშაობისა და საწარმოო მაჩვენებლების შეუსრულებლობის მიზეზების განხილვა, წარმოების მაჩვენებლების გაზრდასთან და შრომის უსაფრთხოების გაუმჯობესებასთან დაკავშირებით კონკრეტული გადაწყვეტილებების მიღება.

თანამშრომლების ჩართულობით ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები გადაწყდა, რომლებმაც დადებითი გავლენა მოახდინა როგორც საწარმოო პროცესზე, ისე დასაქმებულების შრომის პირობებზე:

- მოხდა I, II, IV და VI უბნების თანამშრომლების გამომუშავების სისტემაზე გადაყვანა;
- რთული სამთო-გეოლოგიური პირობებიდან გამომდინარე, 19-ე ამოსაღები ველის +275 ჰორიზონტის თანამშრომლების ანაზღაურება 15%-ით გაიზარდა;
- საბჭოს ინიციატივით, შრომის უსაფრთხოების წესებისა და საწარმოო გეგმების ზედმიწევნით შესრულების შემთხვევაში, ნახშირმომპოვებელი უბნების (ასევე გაყვანითი სამუშაოების, სარემონტო-აღდგენითი სამუშაოების უბნებისა და სხვა სტრუქტურული ერთეულების) თანამშრომლები დაახლოებით 200 ლარის ოდენობის დანამატს იღებენ;
- უბნებზე შრომის უსაფრთხოების მიმართულებით არსებული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, წახალისების პროგრამა ამოქმედდა (ვენტილაციისა და დაცვის სამსახური);
- 200 მ ჰორიზონტზე გადაწყდა დალამვის მილგაყვანილობების გაყვანის საკითხი;
- გადაწყდა სპეცტანსაცმლისა და სპეცფეხსაცმლის შეძენის საკითხები;
- მიღებულია ინვესტირების პროექტი;
- საბჭოს აქტიური მუშაობის შედეგად, დადგინდა 30 იანვრის ავარიის გამომწვევი მიზეზები;
- მოხდა შრომის უსაფრთხოების ნორმების დარღვევების, ასევე, საწარმოო და შრომითი დისციპლინის დარღვევის შემთხვევების გამოვლენა. გატარდა შესაბამისი ზომები და აღნიშნულ შემთხვევებზე მოხდა შესაბამისი ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრება

შეგახსენებთ, რომ საკონსულტაციო საბჭო 2021 წელს, „საქნახშირის“ ადმინისტრაციის გადაწყვეტილებით შეიქმნა, რასაც წინ უძღოდა სამუშაო შეხვედრები და საბჭოს წევრების არჩევნები. საბჭოს წევრები თავად დასაქმებულებმა აირჩეს და მათი მოვალეობა თითოეულ დასაქმებულსა და კომპანიის ადმინისტრაციას შორის სწორი კომუნიკაციის ჩამოყალიბების ხელშეწყობა, სამუშაო პროცესებში ჩართვა და მნიშვნელოვანი საკითხების ოპერატიულად მოგვარება გახლავთ. დღეის მონაცემებით თამამად შეიძლება ითქვას, რომ საკონსულტაციო საბჭომ და მისმა წევრებმა სრულად მიაღწიეს დასახულ მიზანს.

გერმანელი სპეციალისტები შახტის ტექნიკურ-ეკონომიკურ დასკვნაზე მუშაობენ

გერმანული კომპანია DMT-ს სპეციალისტები ტყიბულის შახტში არსებულ მდგომარეობას სწავლობენ, რის შემდეგაც ისინი შახტის ტექნიკურ-ეკონომიკურ დასკვნას მოამზადებენ და საპროექტო დავალებისთვის საჭირო სამუშაოებს უზრუნველყოფენ.

მიხაილ სოცკი

„საქნახშირის“ გენერალური დირექტორი

„აღნიშნულმა სამუშაო ვიზიტმა წარმატებით ჩაიარა. მათ მიიღეს ყველა საჭირო ინფორმაცია, გაეცნენ ყველა დოკუმენტს. გერმანელი სპეციალისტები დასკვნაზე მუშაობას იწყებენ.

ეს არის პირველი ეტაპი, რომელსაც, ვფიქრობ უახლოეს 2-3 თვეში გავივლით და წარმატებით გადავალთ პროექტირებაზე. ასე რომ, ერთ-ერთი ყველაზე დიდი ენერგო საწარმოს აშენების პროექტი ამ ეტაპზე შეუფერხებლად მიმდინარეობს.“

დირკ ჰაგნერი

DMT-ს სამთო ინჟინერი

„ჩვენი სპეციალისტები შახტის ტექნიკურ-ეკონომიკურ შესწავლას ახორციელებენ, რაც აუცილებელი წინაპირობაა იმისათვის, რომ მოპოვება მნიშნელოვნად გაიზარდოს. ვიმუშავეთ შახტის სპეციალისტებთან ერთად - შევისწავლეთ ყველა დოკუმენტაცია, ოპერატიულად მოგვაწოდეს ჩვენ მიერ მოთხოვნილი ინფორმაცია, ასევე, შევთანხმდით გარკვეული სამუშაოების განხორციელებაზე და დარჩენილი ინფორმაციის მოწოდებაზე. საერთო ჯამში, ტყიბულში ვიზიტი ნაყოფიერი და ეფექტიანი გახლდათ.“

შეგახსენებთ, რომ ახალი შახტის მშენებლობისა და თბოელექტროსადგურის პროექტებზე მუშაობის დაწყება 2022 წელს დაანონსდა. აღნიშნული პროექტების განხორციელება უდიდესი წინგადადგმული ნაბიჯი იქნება ქვეყნის ენერგოდამოუკიდებლობის თვალსაზრისით. გარდა ამისა, ტყიბულში დამატებით 2300 სამუშაო ადგილი შეიქმნება.

შრომის უსაფრთხოების სპეციალისტებმა ტექნიკურ უნივერსიტეტის ინტენსიურ ჯერსი გაიარეს

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისა და „საქნახშირის“ ერთობლივი პროგრამის ფარგლებში, შრომის უსაფრთხოების განყოფილების თანამშრომლები შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის მომზადების აკრედიტებული პროგრამის ინტენსიურ კურსს გადიან.

სწავლება სტუ-ს "შრომის უსაფრთხოებისა და საგანგებო სიტუაციების მართვის" დეპარტამენტთან არსებული "კვალიფიკაციის ამაღლების, გადამზადებისა და სწავლების ცენტრის" ორგანიზებით მიმდინარეობს და მას ტექტნიკური უნივერსიტეტის წამყვანი სპეციალისტები უძღვებიან.

თეორიული ნაწილის დასრულებისთანავე, პრაქტიკული მეცადინეობები დაიწყება. გამოცდების შემდეგ კი, მონაწილეებს შესაბამისი სერტიფიკატები გადაეცემათ.



„საქნახშირმა“ ქალბატონებს გაზაფხულის დღესასწაულები მიულოცა

„საქნახშრმა“ საწარმოში დასაქმებულ ქალბატონებს გაზაფხულის დღესასწაულები განსაკუთრებულად მიულოცა და მათ თაიგულები და პრემიები გადასცა. კომპანიის ადმინისტრაციის ორგანიზებით, ქალბატონებისთვის ღონისძიებაც გაიმართა.

კომპანიის გენერალურმა დირექტორმა, მიხაილ სოცკიმ წლების განმავლობაში გაწეული ერთგული სამსახურისთვის ქალბატონებს მადლობა გადაუხადა. ასევე აღნიშნა, რომ „საქნახშირისთვის" ძვირფასია თითოეული ქალბატონი და დასაფასებელია მათი წვლილი სამთო დარგის განვითარებაში.

გაზაფხულის დღესასწაულები ქალბატონებს ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერმა, დავით ჩერქეზიშვილმა და საკრებულოს თავმჯდომარემ, იოსებ რობაქიძემაც მიულოცეს.

ბექა აშოთია: „ვმუშაობ კომპანიაში, სადაც მუდმივად მაქვს პროფესიული ზრდის საშუალება“



ბექა აშოთია

ბექა აშოთია „საქნახშირში“ 2010 წლიდან მუშაობს. ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი ბიზნეს ადმინისტრირებისა და მენეჯმენტის სპეციალობით დაამთავრა. უნივერსიტეტის დასრულების შემდეგ „საქნახშირში“ რამდენიმეთვიანი სტაჟირება გაიარა და მალევე დასაქმდა ბუღალტრის პოზიციაზე. 2012 წელს ის მთვარი ბუღალტრის მოადგილედ დაინიშნა და დღემდე აღნიშნულ პოზიციაზე მუშაობს.

ბექა აშოთია: „12 წელზე მეტია რაც „საქნახშირში“ ვმუშაობ, 21 წლის ვიყავი აქ რომ მოვედი. ამ კომპანიის დამსახურებით არაერთი სასწავლო კურსი გავიარე როგორც ბუღალტრული, ისე ფინანსური აღრიცხვის მიმართულებით. მიხარია რომ ვმუშაობ კომპანიაში, სადაც მუდმივად მაქვს პროფესიული ზრდის საშუალება.

ტყიბულისთვის „საქნახშირი“ ყველაზე მნიშვნელოვანი ობიექტია და განსაკუთრებულ როლს ასრულებს ქალაქის/მუნიციპალიტეტის ცხოვრებაში. მოსახლეობის უმეტესი ნაწილი ჩვენს კომპანიაშია დასაქმებული. აღსანიშნავია ის სპორტული და კულტურული ღონისძიებები, რომლებსაც ქალაქის მასშტაბით კომპანია რეგულარულად ახორციელებს. ტყიბული ისტორიულად გამორჩეული იყო სპორტისა და კულტურის სფეროში და დღესაც ამბობს თავის სიტყვას საქართველოს მასშტაბით.“

ავთო ჯოჯაღიანი

ავთო ჯოჯაღიანი - 17 წელი სამთო სფეროში

ავთო კოპალიანი 17 წელია სამთო სფეროში მუშაობს. მთელი ამ დროის განმავლობაში „მინდელის“ სახელობის შახტში საქმიანობს და წლების განმავლობაში მიღებულ გამოცდილებას ახალგაზრდა სამთოელებს უზიარებს. პარალელურად, სოფელ ძიროვანაში, მეუღლესთან ერთად სასოფლო-სამეურნეო საქმიანობასაც ეწევა.

ავთო კოპალიანი: „17 წელია რემონტის უბანში, გამაგრებაზე ვმუშაობ. ჩემთვის საამაყოა მეშახტეობა და ყველა მეშახტე ძვირფასია. მრავალწლიანი საქმიანობის განმავლობაში ბევრი კარგი ადამიანი გავიცანი, საუკეთესო მეგობრები შევიძინე. შახტა სასიცოხლოდ მნიშვნელოვანია ჩვენი რეგიონისთვის, ადგილობრივების უმეტესობა შახტშია დასაქმებული, რაც ძალიან მნიშვნელოვანია მათი ოჯახის კეთილდღეობისთვის.“

მარინა იურკინა - 28 წელი სამთო სფეროში

მარინა იურკინა

მარინა იურკინა 17 წლის იყო როდესაც მეშახტე გახდა. 1994 წლიდან დღემდე სტაციონალური დანადგარის ამწე მანქანის მემანქანეა. ამაყობს საკუთარი გამოცდილებით და არასოდეს უფიქრია პროფესიის შეცვლა.

მარინა იურკინა: „უკვე 28 წელია ამ პოზიციაზე ვსაქმიანობ. ძალიან მიყვარს ჩემი საქმე და სამსახური. ჩვენზეა დამოკიდებული მეშახტეების „კლეტით“ გადაადგილება შახტში, ასევე გვევალება ტვირთის ჩაშვება და ამოტანა. საკმაოდ რთული და საპასუხიმგებლო პროფესიაა, თუმცა, ამავდროულად საამაყო და საინტერესო.

ჩემი მეუღლე და ორი შვილი სამთელები არიან. ამიტომ, „საქნახშირს“ განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ჩემი ოჯახისთვის და რა თქმა უნდა, სრულიად ტყიბულისთვის.“

ირაკლი ქათამაძე

ირაკლი ქათამაძე - ჩვენი გუნდის ახალი წევრი

ირაკლი ქათმაძე 25 წლის მეშახტეა. სამთო მიმართულებით განათლება ტყიბულის სამთო-ტექნოლოგიურ ინსტიტუტში მიიღო. შემდეგ, კომპანიის სასწავლო ცენტრში 3 თვიანი თეორიული და 1 თვიანი სასწავლ კურსი გაირა და შახტში ფეთქითი სამუშაოების წარმოების უბნის მიწისქვეშა ოსტატ-ამფეთქებლის პოზიციაზე დასაქმდა. პარალელურად, სწავლას აგრძელებს საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში, მიწიქვეშა ოსტატ-ამფეთქებლის სასწავლო კურსზე. სწავლის დასრულების შემდეგ სერტიფიცირებული ამფეთქებელი იქნება.

„საქნახშირში“ მუშაობა 2016 წელს დაიწყო. ჯერ „ძიძიგურის“ სახელობის შახტზე, ფეთქებადი მასალების საბაზისო საწყობის დაცვის პოლიციის უმცროსი ინსპექტორი იყო. შემდეგ კი, მოძრაობის უბანში დასაქმდა.

ოჯახთან ერთად ტყიბულის მუნიციპალიტეტში, სოფელ მანჭიორში ცხოვრობს. შახტში საქმიანობის პარალელურად სასოფლო-სამეურნეო საქმიანობას ეწევა და თავისუფალ დროს ხის საამქროშიც საქმიანობს.

ირაკლი ქათამაძე: „ერთი წელია რაც მშობლიურ ქალაქში დავბრუნდი და შახტში დავიწყე მუშაობა. „საქნახშირი“ რომ არა, ისევ დედაქალაქში მომიწევდა წასვლა. დასაქმებასთან ერთად კომპანიამ ჩემს პროფესიულ განვითარებაზეც იზრუნდა და მალე სერტიფიცირებული ოსტატ-ამფეთქებელი ვიქნები. მეშახტეობა ჩემთვის დიდი პასუხისმგებლობაა. ამავდროულად, სასიამოვნოა პროფესიონალი და საუკეთესო ადამიანების გვერდით საქმიანობა. ვისურვებდი, რომ „საქნახშირი“ კიდევ უფრო გაძლიერდეს და ბევრ ახალგაზრდას მისცეს სამთო სფეროში დასაქმებისა და განვითარების საშუალება. ეს ხომ პირდაპირ აისახება ჩვენი რეგიონის განვითარებაზე.“

ბეჟან წაქაძე:
„ჩვენი პრიორიტეტები უცვლელია - მშვიდობა, ევროკავშირთან ინტეგრაცია და ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება“

ტყიბულის, თერჯოლის, ზესტაფონისა და ბაღდათის მაჟორიტარმა დეპუტატმა, ბეჟან წაქაძემ მაჟორიტარობის განვლილი ორი წელი შეაჯამა. ცოტა ხნის წინ გამოქვეყნებულ ანგარიშში დეპუტატმა განხორციელებული და მიმდინარე პროექტები განიხილა, ასევე 2023-24 წლის გეგმებსა და პრიორიტეტებზე ისაუბრა.



ტყიბული

ბეჟან წაქაძე: „ჩვენი პრიორიტეტები 2023 წელსაც უცვლელია - მშვიდობა, ევროკავშირთან ინტეგრაცია და ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება. ყველაზე მნიშვნელოვანი, რაც უშუალოდ ხალხზეა დამოკიდებული, არის მშვიდობა. ამის გარეშე წინსვლა და განვითარება წარმოუდგენელია.

ყველა მიმართულებით ვმუშაობთ და ბევრი კარგი სიახლე გვაქვს. შევეცდები, თითოეულ მათგანზე ამომწურავი ინფორმაცია მოგაწოდოთ. ერთ-ერთი ყველაზე პრიორიტეტული საკითხი ჯანდაცვა, სოციალური დახმარებები და ანაზღაურებაა.

ჯანდაცვის მიმართულებით მთავრობამ მნიშვნელოვანი ცვლილება განახორციელა. ამიერიდან, ნებისმიერ სამედიცინო დაწესებულებაში (საავადმყოფოებსა და პოლიკლინიკებში) სამედიცინო მომსახურებაზე სტანდარტული ფასები იმოქმედებს. აქამდე, სხვადასხვა სამედიცინო დაწესებულებაში, ამა თუ იმ მომსახურებაზე, ღირებულება სხვადასხვა იყო. ახლა უკვე, მომსახურებების ფასებს ერთიანი სტანდარტი დაარეგულირებს და სამედიცინო დაწესებულებები ვალდებულები იქნებიან, ამ სტანდარტით იმუშაონ. ეს კიდევ უფრო დახვეწავს ჯანდაცვის სისტემას და გაზრდის მის ეფექტიანობას. აღსანიშნავია, რომ სახელმწიფო ბიუჯეტის 30% სწორედ ჯანდაცვის სისტემაზე ნაწილდება (ამაში შედის პენსიები, სოციალური დახმარებები, სხვადასხვა პროგრამები და ა. შ.) აღნიშნული პროექტი დიდი ხანია არსებობს ჯანდაცვის სამინისტროში და ის ჯანდაცვის სისტემის მართვის ეფექტიანობისთვის განახლდა.

1 იანვრიდან, სახელმწიფო სტრუქტურებში დასაქმებულების ანაზღაურება 10%-ით, ხოლო თავდაცვის სამინისტროში და ძალოვან სტრუქტურებში დასაქმებულების ანაზრაურება 20%-ით გაიზარდა.

ასევე გაიზარდა სოციალური დახმარებები და პენსიები. გაზაფხულზე, ძალაში შევა კანონი, რომელიც სოციალური დახმარების გაცემის პროცესს დაარეგულირებს. ფორმულაში, რომლითაც სოციალური დახმარების დაანგარიშება ხდება, გათვალისწინებული არ იყო ადგილობრივი ხელისუფლების კვოტა (მათ არ ჰქონდათ უფლება გარკვეული ქულები დაეწერათ ბენეფიციარებისთვის). ხელისუფლებამ მხარი დაუჭირა ჩემს ინიციატივას და გაზაფხულიდან, ქულების დათვლაში ადგილობრივი ხელისუფლების მიერ დაწერილი ქულებიც იქნება გათვალისწინებული. კანონპროექტი პირველი მოსმენით უკვე მიიღეს, მისი მეორე მოსმენით მიღების შემდეგ კი ქულების ახალი ფორმულით დაანგარიშება დაიწყება.

ბოლო ორი წლის განმავლობაში, განსაკუთრებით კი 2022 წელს, თერჯოლაში, ბაღდათში, ტყიბულსა და ზესტაფონში არაერთი მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტი განხორციელდა.

ტყიბულში სრულად გარემონტდა 45 კორპუსი, განახლდა გზები და სანიაღვრეები, გაიხსნა ახალი სპორტული მოედნები, განხორციელდა სასწავლო დაწესებულებების მშენებლობა-რეაბილიტაცია, დასრულდა სასმელი წყლის გამწმენდი ნაგებობის მშენებლობა (სამუშაოები გადავიდა ახალ ეტაპზე), მოწესრიგდა რეკრეაციული და დასასვენებელი სივრცეები. დაიწყო ძველი სასტუმროს რეაბილიტაციის სამუშაოები, რომლის ადგილზეც მალე მრავალფუნქციური სავაჭრო და გასართობი ცენტრი იქნება - ღია ტერასებით, კინოთეატრითა და კაფეებით.

ასევე, ტყიბულში საფუძველი ეყრება სპორტის განვითარებას - განახლდა საფეხბურთო კლუბი „მეშახტე“ რომელსაც ახალი ხელმძღვანელი ჰყავს; დარეგისტრირდა პირველი ლიგის გუნდი კალათბურთში, რომლის პირველ თამაშზეც, უამრავი გულშემატკივარი შეიკრიბა და ტყიბულის სპორტის სასახლე სრულად შეივსო! ანალოგიურს განვახორციელებთ ზესტაფონშიც. ამ პროცესში აქტიურადაა ჩართული ვიქტორ სანიკიძე, რომლის ინტერესსაც რეგიონებში სპორტის ამ სახეობის განვითარება წარმოადგენს.

ზესტაფონში მიმდინარეობს როგორც ცენტრალური, ისე სხვა ქუჩების განახლების სამუშაოები. უახლოეს ორ წელში სულ სხვა ზესტაფონს ვიხილავთ. 2020 წელს, როდესაც აღმაშენებლის მთავარი გამზირის რეაბილიტაცია დაიწყო, უამრავი პრობლემა გამოიკვეთა - მაღალი იყო მოსახლეობის ჩართულობა და მოხდა მათი შენიშვნების გათვალისწინება. საბოლოოდ, გაკეთდა უდიდესი საქმე - გზის საფართან, განათებებთან და სხვა ინფრასტრუქტურასთან ერთად, განახლდა მიწისქვეშა კომუნიკაციები, რომელიც მრავალ ათეულ წელს გაუძლებს.

ბაღდათი გამორჩეული, ულამაზესი მუნიციპალიტეტია. ამ ორი წლის განმავლობაში, იქ ბევრი ახალი პროექტი განხორციელდა და კიდევ უფრო მიმზიდველი გახდა. იგივე შემიძლია ვთქვა თერჯოლაზეც. ცვლილებები რომლებიც ხელისუფლების მიერ ხორციელდება, თვალშისაცემია და ამ რეგიონების განვითარებას ემსახურება.

პარალელურად, დღის წესრიგში დგას სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტა - იგულისხმება გაზის, გზებისა და სასმელი წყლის პრობლემის მოგვარება. ჩვენი 4 მუნიციპალიტეტის 200 სოფლიდან 30 სოფელში არ არის ცენტრამდე მისასვლელი გზა; ამდენივე სოფელში არ არის განხორციელებული გაზიფიკაცია; რამდენჯერმე უფრო მეტია ისეთი სოფლების რაოდენობა, სადაც წყლის პრობლემა ჯერ კიდევ არ არის მოგვარებული. ნამდვილად საამაყოა, რომ ბოლო პერიოდში უამრავი ინფრასტრუქტურული პროექტი განხორციელდა, თუმცა, ზემოთ ჩამოთვლილი პრობლემების საბოლოოდ გადასაწყვეტად, პროექტების 15-20% ჯერ კიდევ გასაკეთებელია.

წყლის სისტემის მოწესრიგება გასულ წლებშიც პრიორიტეტული საკითხი იყო, თუმცა, ამჟამად გაცილებით მეტი ფინანსური რესურსია გათვალისწინებული, ვიდრე რამდენიმე წლის წინ. მაგალითად,

ბაღდათი

2020 წელს 80 მილიონი ლარი იყო გამოყოფილი, 2021 წელს 350 მილიონი ლარი, 2022 წელს კი, 500 მილიონ ლარზე მეტი დაიხარჯა. 2023 წელს, წყლის პრობლემის მოსაგვარებლად კიდევ უფრო დიდი ფინანსური რესურსია გამოყოფილი და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ძალისხმევით, აუცილებლად განვახორციელებთ დაგეგმილ პროექტებს.

გასული 2 წლის განმავლობაში, ჩემი მიზანი იყო, რომ რეგიონებისთვის დაფინანსება გაზრდილიყო, მაგრამ 2021-2022 წლებში პანდემიამ შეგვიშალა ხელი. ბიუჯეტის დამტკიცებისას მთავრობასთან და ფინანსთა სამინისტროსთან შევთანხმდით, რომ მომდევნო წლიდან პროფიციტური ბიუჯეტის ნახევარზე მეტი მუნიციპალიტეტების ბიუჯეტში, ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად გამოიყოფა. 2022 წელს პროფიციტური ბიუჯეტი 1 700 000 000 ლარი იყო. ამის ნახევარი, ანუ, დაახლოებით 850 000 000 დამატებით გამოიყოფა რეგიონებზე. მაგალითად, ზესტაფონისთვის ეს ნიშნავს მინიმუმ 15 მილიონი ლარის დამატებას ინფრასტრუქტურული პროექტებისთვის, კერძოდ კი გზებისა და წყლის სისტემის მოსაწესრიგებლად.

პანდემიამ დიდი დარტყმა მიაყენა მსოფლიოს ეკონომიკას, თუმცა, 2021 წელს საქართველოში ეკონომიკური ზრდის 2 ციფრიანი მაჩვენებელი დაფიქსირდა (10.4 %). ანალოგიური მაჩვენებელი გვქონდა 2022 წელსაც. დარწმუნებული ვარ, კიდევ უფრო უკეთეს შედეგებს მივაღწევთ. ტენდენცია მზარდი უნდა იყოს და ასეც არის. აღებული სახელმწიფო სესხები თითქმის იმ პოზიციამდე დავიყვანეთ, რაც 2019 წელს იყო.

ეკონომიკის ზრდას ენერგეტიკის ზრდაც უნდა მიჰყვეს. დღეს საქართველოში ენერგიის დეფიციტია და იძულებულები ვართ, ელექტროენერგია ვიყიდოთ. მთავრობა ამ მიმართულებაზეც აქტიურად მუშაობს. მომდევნო წლიდან, ენერგეტიკის სფეროში 2 000 000 000 დოლარი ჩაიდება. პრემიერმა ეს უკვე დააანონსა და პარალელურად, ამ მიმართულებით აქტიური მუშაობაც დაიწყო.

უდიდესი მნიშვნელობის პროექტია მაღალი ძაბვის გადამცემი ელექტროსადენის ჩადება შავი ზღვის ფსკერზე. ეს დაგვეხმარება, არსებული დეფიციტი შევავსოთ. პარალელურად, ამას უნდა მოჰყვეს ელექტროენერგიის გამომუშავება და რეალიზაცია.

უნდა შეიქმნას უნიკალური სატრანსპორტო დერეფანი, რომელიც მოიცავს საავტომობილო გზას, რკინიგზას და პორტს. სწორედ ეს არის ჩვენი ხვალინდელი დღე, სწორედ აქეთ არის მიმართული მთელი ჩვენი ენერგია და რესურსები.

ამჟამად ხორციელდება საუკუნის პროექტი - აქტიურად მიმდინარეობს ავტობანის მშენებლობა და ეტაპობრივად დაიწყო გარკვეული მონაკვეთების

ზესტაფონი

გახსნა. 2024 წლის პირველ ნახევარში ავტობანი სრულად გაიხსნება. ზესტაფონთან ახლოს კეთდება მეორე „ჯიბე," სადაც კვებისა და დასასვენებელი ობიექტები გადაინაცვლებს.

საქართველოს სავაჭრო გზა არის უდიდესი მნიშნელობის, უნიკალური სატრანსპორტო დერეფანი და ამაში, რა თქმა უნდა, რკინიგზაც იგულისხმება. გასულ წელს, რკინიგზის გადაზიდვების მოცულობამ 25 მილიონი ტონა შეადგინა. ამ მიმართულებით მზარდი ტენდენცია გვაქვს.

რკინიგზა და ახალი ავტობანი პორტით უნდა დაგვირგვინდეს. ხელისუფლების გადაწყვეტილებით, აუცილებლად განხორციელდება ღრმაწყლოვანი პორტის მშენებლობაც. ამ მხრივ ჩვენი დაინტერესება დიდია და კონკრეტული ნაბიჯებიც გადაიდგა. საბოლოო ჯამში, მართლაც უნიკალური სატრანსპორტო დერეფანი იქმნება, რომელიც ჩვენს ქვეყანას მრავალმხრივი განვითარების საშუალებას მისცემს და გაზრდის ჩვენს მნიშვნელობას მსოფლიოს ეკონომიკაში.

2022 წლის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მიღწევა არის ის, რომ ევროკავშირის წევრობის პერსპექტივა მივიღეთ. ჩვენ დაუღალავად ვმუშაობთ ამ მიმართულებით. დარწმუნებული ვარ, რომ 2023 წელს ევროკავშირის წევრობის კანდიდატი ქვეყანა გავხდებით და ჩვენს ევროპულ ოჯახს დავუბრუნდებით.

2023-24 წლები კიდევ უფრო საინტერესო და აქტიური იქნება - ხელისუფლება აგრძელებს ქვეყნის განვითარებაზე ზრუნვას, ახალი პროექტების განხორციელებას და ფინანსური რესურსების პრიორიტეტულ მიმართულებებზე გადანაწილებას; ასევე, ამ რესურსების გაკონტროლებას, რათა მაქსიმალურად გაიზარდოს შედეგების ეფექტიანობა.

დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენი მთავრობა იგივე ტემპით და ენერგიით გააგრძელებს საქმიანობას. პარლამენტი გვერდში დაუდგება მთავრობას და ეს მოგვცემს საშუალებას, რომ რეგიონებში სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი პროექტები განვახორციელოთ და საბოლოოდ მოვაგვაროთ არსებული პრობლემები."





თერჯოლა

ტყიბულში თანამედროვე სტანდარტების ახალი საჯარო სკოლა გაიხსნა

N7 საჯარო სკოლის ახალი სასწავლო კომპლექსი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილემ, ვალერიან გობრონიძემ და ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერმა დავით ჩერქეზიშვილმა საზეიმოდ გახსნეს. ღონისძიებას ასევე ესწრებოდნენ სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს დირექტორი ლევან სუხიტაშვილი, იმერეთის მხარეში სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილე ლევან კიკნაველიძე, საკრებულოს თავმჯდომარე იოსებ რობაქიძე, ტყიბულის საგანმანათლებლო რესურსცენტრის ხელმძღვანელი ირინე კორძაია და ადგილობრივი ხელისუფლების სხვა წარმომადგენლები.

120 მოსწავლეზე გათვლილი, საგანმანათლებლო დაწესებულება ორსართულიანი ძირითადი სასწავლო კორპუსისა და დამხმარე სამსართულიანი შენობისგან შედგება. კომპლექსში განთავსებულია მრავალფუნქციური დახურული სპორტული დარბაზი, კეთილმოწყობილი გასახდელებითა და საშხაპეებით, რეკრეაციული სივრცე და ღია სპორტული მოედანი ტრიბუნებით. სკოლის სრული ტერიტორია ადაპტირებულია სპეციალური საჭიროების მქონე პირებისთვის: მოწყობილია პანდუსები, ლიფტები და ადაპტირებული სველი წერტილები.

სასწავლო ოთახების პარალელურად, სკოლაში ფუნქციობს საბუნებისმეტყველო და კომპიუტერული ლაბორატორიები, ბიბლიოთეკა, სამკითხველო დარბაზი და საკონფერენციო სივრცე. სკოლა აღჭურვილია გათბობის, ვენტილაციისა და ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების სისტემებით, თანამედროვე სტანდარტების კომპიუტერული ტექნიკით და ინვენტარით.

ახალი სასკოლო კომპლექსი სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს დაკვეთით აშენდა. პროექტის ჯამური ღირებულება 4 558 018 ლარს შეადგენს.

ახლადგახსნილ სკოლაში 2020-2021 სასწავლო წლის წარჩინებულ კურსდამთავრებულთა დაჯილდოების საზეიმო ცერემონია გაიმართა. ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომამდგენლებმა ახალგაზრდებს სწავლის წარჩინებით დასრულება მიულოცეს და მათ შესაბამის სერტიფიკატებთან ერთად, ოქროსა და ვერცხლის მედლები გადასცეს. ტყიბულის მუნიციპალიტეტს 2020-2021 სასწავლო წელს 12 ოქროსმედალოსანი და 9 ვერცხლისმედალოსანი ჰყავს.

ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა ქალბატონებს გაზაფხულის დღესასწაულები მიულოცეს

მუნიციპალიტეტის მერმა, დავით ჩერქეზიშვილმა და საკრებულოს თავმჯდომარემ, იოსებ რობაქიძემ, სამკერვალო ფაბრიკის, „საქნახშირის", სამედიცინო კორპორაცია „ევექსის" ტყიბულის კლინიკის, საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის თანამშრომლებს, აგრეთვე, სააფთიაქო ქსელებში და სხვადასხვა სავაჭრო ობიექტებში დასაქმებულ ქალბატონებს ქალთა საერთაშორისო დღე ყვავილებით მიულოცეს. მერმა გაზაფხულის დღესასწაულები მერიისა და საკრებულოს თანამშრომლებსაც მიულოცა.

ტყიბულში წყალმომარაგების ქსელის მოწყობა და გამრიცხველიანება დაიწყო

ქალაქ ტყიბულში წყალმომარაგების მესამე ეტაპის სამუშაოები იწყება, რომელიც წყალმომარაგების ქსელის მოწყობას და აბონენტების გამრიცხველიანებას ითვალისწინებს. სამუშაოებს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის" დაკვეთით შპს ,,საბა" განახორციელებს.

ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერი, დავით ჩერქეზიშვილი და საკრებულოს თავმჯდომარე, იოსებ რობაქიძე კონტრაქტორი კომპანიის წარმომადგენლებთან ერთად, ტყვარჩელის ქუჩაზე მრავალსართულიან კორპუსებში მცხოვრებ მოსახლეობას შეხვდნენ, საიდანაც ტყიბულში ინდივიდუალური გამრიცხველიანება იწყება.

პროექტის ფარგლებში, ასევე განსაზღვრულია რეზერვუარების, მაგისტრალური მილების და „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის" ტყიბულის სერვის-ცენტრის რეაბილიტაცია.

ილია სულამანიძემ თბილისის „გრანდ სლემის" ჩემპიონია

ილია სულამანიძემ კიდევ ერთი ოქროს მედალი მოიპოვა. ტყიბულელმა სპორტსმენმა - 100 კილოგრამ წონით კატეგორიაში ასპარეზობა ტრიუმფით დაასრულა.

ქართველი ფალავანი პირველ რაუნდში თავისუფალი გახლდათ. ხოლო, მეორე ეტაპზე ის ჩილელ ტომას ბრესინოს დაუპირისპირდა და 12 წამში იპონით დაამარცხა. მეოთხედფინალში სულამანიძემ ჩეხეთის წარმომადგენელი, მარტინ ბეზდეკი შეხვედრის დასრულებამდე წუთნახევრით ადრე, იპონით დაამარცხა და ნახევარფინალში გავიდა. შემდეგ ბრაზილიელ რაფაელ ბუზაკარანის ერთ წუთში იპონით სძლია და ფინალში ასპარეზობის უფლება მოიპოვა.

გადამწყვეტ შეხვედრაში სულამანიძემ მონღოლი გონჩიგსურენ ბატხუიაგი ვაზარით დაამარცხა და თბილისის გრანდ სლემზე ოქროს მედალს დაეუფლა.

აღსანიშნავია, რომ კარიერის განმავლობაში, სულამანიძემ თბილისის გრანდ სლემზე მესამედ იასპარეზა.

ტყიბულელმა კუნგ-ფუისტებმა 5 პირველი ადგილი მოიპოვეს!

ტყიბულის კუნგ-ფუს სკოლის კუნგფუისტებმა თბილისში გამართულ საერთაშორისო ტურნირზე კუნგ-ფუ ფაიტინგში ბრწყინვალედ იასპარეზეს. მათ 5 პირველი და 1 მეორე საპრიზო ადგილი მოიპოვეს.

ნიკოლოზ ბუბაშვილი, დავით ჩეთოშვილი, ოთარ სანიკიანი, ალექსი მაჭავარიანი და საბა აბესაძე ჩემპიონები გახდნენ, ხოლო მიხეილ ვერულაშვილი პრიზიორი. ნიკოლოზ ბუბაშვილმა და დავით ჩეთოშვილმა 52-56 და 54-58 კგ. წონით კატეგორიებში, სომხეთის ნაკრების ძლიერი მოწინააღმდეგეები ნახევარფინალურ ბრძოლებში დაამარცხეს. შემდეგ კი, ფინალურ ბრძოლებში ქართველ სპორტსმენებსაც სძლიეს.

ტყიბულელი კუნგფუისტები თბილისში გამართულ ტურნირზე ტყიბულის მუნიციპალიტეტის სპორტული ცენტრის დახმარებით გაემგზავრნენ.

ტყიბულის „ორბი" სეპერლიგის საგზურისთვის „ა" ლიგის ფინალში იბრძოლებს

რეგულარული სეზონის პირველ ადგილზე დასრულების შემდეგ, ტყიბულის ,,ორბმა" გამარჯვება ,,პლეი ოფის" მატჩებშიც მოიპოვა და ფინალურ ეტაპზე გავიდა.

ნახევარფინალურ შეხვედრებში ტყიბულის ,,ორბმა"' თბილისის ,,ასტრალი" დაამარცხა და ფინალურ სერიაში გორის ,,ივერიონს" დაუპირისპირდება.

პირველ ორ ფინალურ შეხვედრას ,,ორბი" 4 და 5 აპრილს ტყიბულის სპორტის სასახლეში გამართავს, ხოლო 10 და 11 აპრილს სერია გორში გაგრძელდება. ის გუნდი, რომელსაც ურთიერთშეხვედრებში სამი მოგება ექნება, გათამაშების გამარჯვებული გახდება და სუპერლიგის საგზურს მოიპოვებს.

ქუთაისში აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მრავალფუნქციური ცენტრი გაიხსნა

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა მიხეილ ჩხენკელმა და იმერეთში სახელმწიფო რწმუნებულმა ზვიად შალამბერიძემ ქუთაისში მრავალფუნქციური ცენტრი გახსნეს. ღონისძიებას ესწრებოდნენ: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე ნუნუ მიცკევიჩი, საქართველოს პარლამენტის განათლებისა და მეცნიერების კომიტეტის თავმჯდომარე გიორგი ამილახვარი, ქუთაისის მაჟორიტარი დეპუტატი ჯანდაცვის კომიტეტის თავმჯდომარე ზაზა ლომინაძე, ქუთაისის მერი იოსებ ხახალეიშვილი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი როლანდ კოპალიანი და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები.

პროექტის ფარგლებში სრულად გარემონტდა აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის კორპუსი – მოეწყო საკონფერენციო და საგამოფენო სივრცეები, 456 მსმენელზე გათვლილი საკონცერტო დარბაზი, სარეპეტიციო დარბაზი, სველი წერტილები და გამოსაცვლელი ოთახები.

აღსანიშნავია, რომ ინფრასტრუქტურული პროექტი, რომლის ფარგლებშიც აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის შენობას რეაბილიტაცია ჩაუტარდა, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს ფინანსური მხარდაჭერით განხორციელდა. პროექტის ღირებულება ჯამში 2 330 133.19 ლარს შეადგენს.

მრავალფუნქციური ცენტრის გახსნა აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსებიდან 90-წლის იუბილეს მიეძღვნა. აღნიშნულ საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით უნივერსიტეტი მთელი წლის განმავლობაში სხვადასხვა საზეიმო ღონისძიების ჩატარებას გეგმავს.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ერთ-ერთ უმთავრეს პრიორიტეტს მთელი ქვეყნის მასშტაბით საუნივერსიტეტო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება წარმოადგენს. შესაბამისად, ამ მიმართულებით სამინისტროს მხარდაჭერით არაერთი მნიშვნელოვანი პროექტი ხორციელდება.

გახსნის ცერემონიის ფარგლებში უნივერსიტეტის ახლად რეაბილიტირებულ დარბაზში ასევე ჩატარდა უნივერსიტეტის ფოლკლორული ანსამბლების ,,ადილასა" და ,,კოლხას" კონცერტი, რომელშიც ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საშემსრულებლო ხელოვნების სპეციალობის (ყოფილი სამუსიკო კოლეჯი) სტუდენტებიც მონაწილეობდნენ.

21 ივნისს მასშტაბური საფეხბურთო ჩემპიონატი დაიწყება!

21 ივნისს, საქართველოსა და რუმინეთში 21-წლამდელთა საფეხბურთო ნაკრებების ევროპის ჩემპიონატი საზეიმოდ გაიხსნება. აღნიშნულ თარიღთან დაკავშირებით მასპინძელი საქართველოს სამ ქალაქში (თბილისი, ქუთაისი, ბათუმი) ღონისძიებები გაიმართა და უკუთვლის საათი ჩაირთო.

ქუთაისში გამართულ ღონისძიებაზე შეკრებილ საზოგადოებას სიტყვით მიმართეს იმერეთში სახელმწიფო რწმუნებულმა ზვიად შალამბერიძემ, ქუთაისის მერმა იოსებ ხახალეიშვილმა და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა ალექსანდრე იაშვილმა.

,,100 დღე დარჩა მასშტაბური საფეხბურთო ჩემპიონატის დაწყებამდე. სასიხარულოა, რომ საქართველოში 21-წლამდელთა ნაკრებების ევროპის ჩემპიონატი გაიმართება. ამ დიდ სპორტულ სანახაობას ქუთაისიც უერთდება და შენგელიას სახელობის განახლებული სპორტული მოედანი მაღალი დონის თამაშებს ივნისის თვიდან უმასპინძლებს.

ფეხბურთში ევროპის ჩემპიონატის ჩატარება საქართველოში და მათ შორის ქუთაისში რეგიონისთვის მნიშვნელოვანი და საპასუხისმგებლოა. ჩვენ მზად ვართ ღირსეულად ვუპასუხოთ ახალ გამოწვევას და მაღალ დონეზე ჩავატაროთ აღნიშნული ჩემპიონატი. ეს არის კიდევ ერთი საშუალება ქუთაისი წარმოჩინდეს მსოფლიო რუკაზე, როგორც უდიდესი სპორტული ტრადიციის მქონე ქალაქი.

თითოეული ჩვენგანი ხედავს როგორი წარმატება გვაქვს სპორტის სხვადასხვა სახეობაში: ძალოსნობაში, რაგბში, კალათბურთში და ახლა დროა საქართველოს ფეხბურთის 21-წლამდელთა ნაკრებმა წარმატებით იასპარეზოს აღნიშნულ ჩემპიონატზე" - განაცხადა ზვიად შალამბერიძემ.

ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის წარმომადგენლებმა, ვეტერანმა და ახალგაზრდა ფეხბურთელებმა და ჩემპიონატის პარტნიორი კომპანიების წარმომადგენლებმა.

ჩემპიონატისადმი მიძღვნილი სპეციალური საათი ქუთაისში, ვერიკო ანჯაფარიძის სკვერის მიმდებარედ განთავსდა.

ხონის მუნიციპალიტეტის ინტეგრირებული განვითარების თემაზე პრეზენტაცია გაიმართა

ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტი მიზნად ისახავს ხონის მუნიციპალიტეტის ინტეგრირებული ტერიტორიული განვითარების ხელშეწყობას და ხონის მაცხოვრებლების ეკონომიკური, სოციალური და კულტურული შესაძლებლობების გაუმჯობესებას.

პრეზენტაციას დაესწრნენ იმერეთში სახელმწიფო რწმუნებული ზვიად შალამბერიძე, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილე მზია გიორგობიანი, პარლამენტის წევრი გივი ჭიჭინაძე, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის რეგიონებთან ურთიერთობის დეპარტამენტის წარმომადგენელი მამუკა ცოტნიაშვილი, ასევე, ადგილობრივი ხელისუფების, პარტნიორი ორგანიზაციისა და სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლები.

პროექტის ფარგლებში შეიქმნება და ამოქმედდება საინვესტიციო მზაობის ვებ-გვერდი, რომლის მეშვეობითაც დაინტერესებულ პირებს საშუალება მიეცემათ ონლაინ რეჟიმში გაეცნონ კონკრეტულ საინვესტიციო წინადადებას; ჩატარდება მასშტაბური ადგილობრივი საინვესტიციო ფორუმი, ადგილობრივ ორგანიზაციებზე გაიცემა 11 გრანტი, განხორციელდება მცირე ინფრასტრუქტურული პროექტები, შეიქმნება ადგილობრივი პროდუქციის საგამოფენო სივრცეები და ახალი ტურისტულ-რეკრეაციული ობიექტები (მათ შორის დევნილთა დასახლებაში); ასევე, გათვალისწინებულია ნახახულევის ადმინისტრაციულ ერთეულში სპორტული კომპლექსი, ქიმიისა და ფიზიკის მუზეუმის მოწყობა. პროექტი ხორციელდება ხონის მუნიციპალიტეტისა და საქველმოქმედო ჰუმანიტარული ცენტრის, „აფხაზეთის" მიერ.

იმერული ღვინის ჭირვეული ოფიციალური პრეზენტაცია ამერიკაში



ნიუ-იორკში ღვინის უდიდესი საერთაშორისო გამოფენა Vinexpo Amerika გაიხსნა, სადაც DMO იმერეთის მხარდაჭერითა და დაფინანსებით, ჯეიქობ ჯავითსის საკონვენციო ცენტრში, 20-მდე ქართული ღვინის მწარმოებელი კომპანიის გვერდით, პირველად ისტორიაში, იმერული ღვინის ასოციაციის სტენდზე წარმოდგენილია იმერული ღვინოები.

გამოფენას იმერეთში სახელმწიფო რწმუნებული ზვიად შალამბერიძე და იმერეთის ადგილის მართვის ორგანიზაციის (DMO) დირექტორი მარი დევიძე ესწრებოდნენ.

გამოფენაზე წარმოდგენილი იყო იმერული ღვინის ასოციაციის წევრი კომპანიისა და იმერული ღვინის კონკურსის გამარჯვებული ოქროსმედალოსანი იმერული ღვინოები. აღნიშნული გამოფენა იმერულ ღვინოს გზას უხსნის ამერიკულ ბაზარზე და ამერიკელ ღვინის მოყვარულებსა და ბაიერებს საშუალებას აძლევს გაიცნონ იმერეთი და იმერული ღვინო.

გამოფენა Vinexpo, არის ღვინისწარმოების სფეროს პროფესიონალების თავშეყრის ადგილი, სადაც ღვინისა და სპირტიანი სასმელების მწამოებლები წარმოადგენენ საკუთარ პროდუქციას, უზიარებენ გამოცდილებებს, აწყობენ დეგუსტაციებსა და მასტერკლასებს.

იმერეთისთვის ეს არის დიდი ნაბიჯი, გახდეს მსოფლიო ღვინისწარმოების სფეროს ყველაზე ახალი და დინამიური მოვლენის ნაწილი; მისი არსებობის შესახებ შეიტყონ იმ საერთაშორისო პირებმა, ექსპერტებმა, ბაიერებმა, ღვინის მცოდნეებმა და დეგუსტატორებმა, რომლებსაც ამ სფეროში გადამწყვეტი სიტყვა ეკუთვნით.

გამოფენის ფარგლებში იმერული ღვინოები დააგემოვნეს ისეთმა ცნობილმა ღვინის ექსპერტებმა, როგორიცაა Liza Granik- ი, Erika Frey, ლაშა ცატავა, Carmelo Sgandura. ასევე მოლაპარაკებები შედგა Colangelo&Partners წარმომადგენლებთან.

ზესტაფონის ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლების ვიზიტი ისრაელში

იმერეთის მხარეში სახელმწიფო რწმუნებული ზვიად შალამბერიძე, ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს წარმომადგენლებთან ერთად, ოფიციალური მიწვევით ისრაელის ქალაქ, კირიათ ბიალიკში იმყოფებოდა.

ვიზიტის ფარგლებში, დელეგაციის წარმომადგენლებმა კირიათ ბიალიკის ინდუსტრიული ზონა მოინახულეს, სადაც ადგილზე გაეცნენ სხვადასხვა პროფილის საწარმოების მუშაობის სპეციფიკას. დაათვალიერეს ერთ -ერთი საწარმოს ბაზაზე არსებული პროფესიული კოლეჯი. სასწავლო პროცესის გაცნობის შემდეგ, აღნიშნულ სასწავლებელსა და ზესტაფონში არსებულ პროფესიულ კოლეჯ "კონსტრუქტ 2 "- ს შორის სამომავლო თანამშრომლობა დაიგეგმა. დელეგაციის წარმომადგენლებმა, საელჩოს წარმომადგენლებთან ერთად, მონაწილეობა მიიღეს სხვადასხვა სახის კულტურული და სოციალური ხასიათის ღონისძიებებში. ვიზიტის ფარგლებში მოინახულეს სპეციალური საჭიროების მქონე ბავშთა საგანმანათლებლო დაწესებულებები. ადგილობრივი სერვისების გასაცნობად სტუმრობდნენ მოსახლეობის მომსახურების ცენტრს.

კირიათ ბიალიკის წარმომადგენლებმა ქართული დელეგაციის მიწვევა საქართველოდან ისრაელში ებრაელთა დაბრუნების 50 წლისთავს საგანგებოდ დაამთხვიეს. ზესტაფონსა და კირიათ ბიალიკს შორის მეგობრობას 80-იან წლებში ჩაეყარა საფუძველი. ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი ორ ქალაქს შორის 2007 წელს გაფორმდა.

პროფესიული უნარების განვითარების თემაზე მსჯელობა გაიმართა

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მულტიფუნქციურ ცენტრში შეხვედრა გაიმართა, რომლის თემაც იყო „პროფესიული უნარები რეგიონის განვითარებისთვის.“ ხელისუფლების წარმომადგენლებმა და კერძო სექტორმა იმ გამოწვევებსა და საჭიროებებზე ისაუბრეს, რაც კვალიფიციური კადრების მომზადებისთვის არის საჭირო.

იმერეთში სახელმწიფო რწმუნებულმა ზვიად შალამბერიძემ პროფესიული განათლების მიმართულებით რეგიონში არსებულ ვითარებაზე ისაუბრა. სიტყვით გამოსვლისას აღნიშნა, რომ სახელმწიფო მზად არის პროფესიული განათლების ხელშეწყობის მიზნით, კიდევ არაერთი პროგრამა განახორციელოს და ქმედითი ნაბიჯები გადადგას.

,,პროფესიული სწავლების პოპულარიზაცია და ხელმისაწვდომობა ჩვენი ერთ-ერთი პრიორიტეტია. სახელმწიფოს გვერდით დგომითა და დახმარებით ქუთაისისა და ბაღდათის პროფესიულ სასწავლებლებში 20-მდე სპეციალობის შესწავლა მიმდინარეობს და ახალგაზრდებს საშუალება აქვთ საკუთარ რეგიონსა და ქალაქში დაეუფლონ მათთვის საინტერესო პროფესიას. გარდა ამისა, იმერეთში კიდევ, სამი სასწავლებლის მშენებლობა-რეაბილიტაციის პროცესი მიმდინარეობს. მალე სამტრედიაში, ხონსა და წყალტუბოში დამატებით ახალი პროფესიული სასწავლებლები დაიწყებენ ფუნქციობას, რომელთა მიზანია სხვადასხვა სფეროში კვალიფიციური კადრების მომზადება.

აქვე, სახელმწიფოსა და კერძო სექტორის თანამშრომლობის წარმატებულ მაგალითად მინდა დავასახელო ზესტაფონში არსებული პროფესიული კოლეჯი ,,კონსტრუქტ2,“ რომელიც წლებია კვალიფიციურ კადრებს ამზადებს სამშენებლო მიმართულებით და უფრო მეტიც, მათი კურსდამთავრებულები საქმდებიან სამშენებლო კომპანიებში.

ასე რომ, პროფესიული უნარების განვითარების მიმართულებით რეგიონში არაერთი პროექტი განხორციელდა და მიმდინარეობს. სახელმწიფომზაობას გამოთქვამს, რომ ყველა მსურველს დაეხმაროს და პროფესიული სწავლება დაუფინანსოს.“

შეხვედრის მონაწილეებს სიტყვით მიმართეს: საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილემ, მზია გიორგობიანმა, პროფესიული უნარების სააგენტოს გენერალურმა დირექტორმა თამარ ქიტიაშვილმა და საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის გენერალური დირექტორის მოადგილემ მაგდა ბოლოთაშვილმა. მათ ყურადღება გაამახვილეს სახელმწიფო პროგრამებზე და პროფესიული სწავლების მნიშვნელობაზე.

ბიზნეს სექტორის წარმომადგენლებმა ინფორმაცია მიიღეს არსებული სერვისებისა და შესაძლებლობების, ასევე ბიზნესის მონაწილეობით მიმდინარე რეფორმის შესახებ.

საქნახშირი

“ბურღვა-ფეთქვითი სამუშაოების წარმოება პასპორტით გათვალისწინებული პარამეტრებისა და შესაფრთხოების წესების ზედმიწევნით დაცვით შენდა მოხდეს.

მშვიდობიანი და ნაყოფიერი შრომის უზრუნველსაყოფად, ჩვენი მთავარი იარაღი შესაფრთხოების წესების დაცვაა.

გაია შოშაძე

ხარისხის კონტროლის სამსახურის, სამთო სამუშაოების აღიცხვისა და ბაზების კონტროლის სპეციალისტი

მეშახტე
თებერვალი-მარტი 2023

სარედაქციო საბჭო:
გვანცა დელიბაშვილი, გიორგი სულაძე, მაკა კობახიძე, გაგა ისაკაძე, ონისე საპანაძე, ბექა აშოთია, კახა ჩიქობავა, ხვიჩა გაბუნია.
მისამართი: ტყიბული, თაბუკაშვილის 13

ჟურნალისტიკის გამოცდა
www.facebook.com/saknakhshiri